



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თარიშვილი ნინო კონსტანტინეს ასული

თარიშვილი ნინო კონსტანტინეს ასული (28. VIII. 1904, სოფ. მირზაანი, ახლანდ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, - 23. II. 1990, თბილისი), პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი. დაამთავრა თსუ-ის პედ. (სიბრძნისმეტყველების) ფაკ-ტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის განყ-ბები. 1926-28 სწავლობდა პედ. ფაკ-ტის სიტყვიერების განყ-ბაზე, 1927-30 - თბილ. უცხო ენათა კურსების ფრანგ. სექტორზე. 1928- 30 მუშაობდა ფსიქონევროლოგიურ ინ-ტში მეცნ. თანამშრომლად, 1930-39 - უფრ. მეცნ. თანამშრომლად პედაგოგიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ზოგადი ფსიქოლ. და საბავშვო ლიტ-რის სექციაში, 1932-37 - უფრ. მეცნ. თანამშრომლად ფიზ. კულტურის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1939-იდან - თსუ-ის დას. ევროპის ლიტერატურის ისტ. კათედრაზე, 1940-41 - თელავის პედ. ინ-ტში, 1941-42 - გორის პედ. ინ-ტში, 1942-54 - ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტში; პარალელურად, 1986-მდე, კითხულობდა ლექციებს თსუ-სა და უცხო ენათა პედ. ინ-ტში. თანამშრომლობდა ქართ. ჟურნალ-გაზეთებთან: „ილიონი“, „რუბიკონი“, „ბახტრიონი“, „ტრიბუნა“, „ქართული მწერლობა“ და სხვ. 1926 დაიბეჭდა მისი ლექსების კრებ. „მზეში“, 1980 - ლექსების კრებ. „გვირილა“. ერთ-ერთმა პირველმა გამოაქვეყნა წერილი „ბახტრიონში“ (1923) ფიროსმანის შესახებ. ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. ეკუთვნის მრავალი სამეცნ. ნაშრომი.
